გაკვეთილი პირველი: რა არის დამხმარე პროდუქტები?

- დამხმარე პროდუქტები არის ადამიანების მიერ იმ ამოცანების შესასრულებლად გამოყენებული პროდუქტები, რომლებსაც სხვაგვარად ვერ შეასრულებენ კარგად ან საერთოდ ვერ შეასრულებენ.
- დამხმარე პროდუქტების გამოყენება შეიძლება როგორც ბავშვების, ისე ზრდასრულების მიერ
- არსებობს მრავალი სახის დამხმარე პროდუქტი, რომელიც ეხმარება ადამიანებს ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, როგორიცაა აზროვნება, კომუნიკაცია, სმენა, ხედვა, გადაადგილება და თავის მოვლა.
- ბევრი ადამიანი იყენებს ერთზე მეტი სახის დამხმარე პროდუქტს, საჭიროებების მიხედვით.

გაკვეთილი მეორე: ვინ არის ჩართული დამხმარე პროდუქტების მიწოდებაში?

- ბევრ პირს აქვს თავისი როლი დამხმარე პროდუქტების მიწოდებაში, მათ შორის:
  - პირი, რომელსაც სჭირდება დამხმარე პროდუქტი
  - მისი ოჯახის წევრები და მეგობრები
  - პირი, რომელიც საჭიროების მქონე პირს აძლევს მიმართვას დამხმარე პროდუქტთან დაკავშირებულ სერვისზე
  - სწავლებაგავლილი მომსახურების მიმწოდებელი
  - საზოგადოების წევრები

გაკვეთილი მესამე: როგორ ხდება დამხმარე პროდუქტების მიწოდება

დამხმარე პროდუქტების მიწოდება ხდება 4 ნაბიჯით:



- ეს ოთხი ნაბიჯი გეხმარებათ პირების უსაფრთხო, შესაბამისი დამხმარე პროდუქტებით უზრუნველყოფაში; გამოყენების სათანადო უნარებით აღჭურვაში; შემდგომი მხარდაჭერის მიწოდებაში, რაც დაგარწმუნებთ, რომ პროდუქტი კვლავ აკმაყოფილებს მათ მოთხოვნილებებს.
  - ძალიან მნიშვნელოვანია, რომ პროდუქტის მიმღები პირი (და მისი ოჯახი ან მომვლელი, საჭიროების შემთხვევაში) აქტიურად მონაწილეობდეს პროცესის ყველა საფეხურზე.

გაკვეთილი მეოთხე: მოსაზრებები დამხმარე პროდუქტის მომსახურების მიწოდებისთვის

- ზოგიერთი დამხმარე პროდუქტის მიწოდებას დიდი დრო სჭირდება, ზოგის მიწოდება კი სწრაფად შეიძლება. ეს დამოკიდებულია მთელ რიგ ფაქტორზე, მათ შორის:
    - რამდენად კომპლექსურია (რთულია) დამხმარე პროდუქტი
    - პირის მოთხოვნილებები და ჯანმრთელობის მდგომარეობა
    - გარემო, რომელშიც პირი გამოიყენებს დამხმარე პროდუქტს
    - რამდენად გამოცდილია პირი, ვინც გამოიყენებს პროდუქტს.
- სწორი დამხმარე პროდუქტის შემთხვევაშიც კი, სასურველი აქტივობისას ადამიანები ხშირად აწყდებიან ბარიერებს. ეს ბარიერები შეიძლება იყოს:
    - ფიზიკური ბარიერები, როგორიც არის მიუწვდომელი გარემო
    - სტიგმა და დისკრიმინაცია
    - ხელმისაწვდომი ინფორმაციის ნაკლებობა
    - მხარდამჭერი წესებისა და სერვისების ნაკლებობა
- დამხმარე პროდუქტებით მოსარგებლე პირების საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვისას და მათ მიერ სასურველი აქტივობის სხვებთან თანაბარ საფუძველზე შესრულებაში ყველას აქვს თავისი როლი